



ტურიზმის ეკონომიკური უსაფრთხოების აქტუალური საკითხები (ფინანსური უსაფრთხოება)

რეზიუმე

ნინო ლეთანაძე

სტუ-ს დოქტორანტი
E-mail: nanimam@mail.ru

ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემების გადაჭრა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა. იგი თავდაცვით, ფინანსურ, ეკოლოგიურ, ინფორმაციულ, ფსიქოლოგიურ, სოციალურ, იდეოლოგიურ, კულტურულ, დემოგრაფიულ და სხვა სახის უსაფრთხოებებთან ერთად ჰქმნის ეროვნულ უსაფრთხოებას. ეკონომიკური უსაფრთხოების მთავარი შემადგენელი არის ფინანსური უსაფრთხოება, რადგან ფინანსებში ხდება ნებისმიერი ეკონომიკის ბაზირება.

ინფლაციის გამომწვევი მიზეზებიდან ჩვენ განვიხილავთ იმ მიზეზებს, რომლებიც დამახასიათებელია საქართველოს ეკონომიკისათვის, პირველ რიგში ეს არის: არასწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა; იმპორტირებული ინფლაცია; ინფლაციური მოლოდინი;

ტურიზმის სფერო ადგილობრივი ვალუტის დეველვაციის ერთ-ერთი ბენეფიციარია, რომელიც იღებს სარგებელს. თუ აღვნიშნავთ, რომ ტურიზმი არის საკუთარი ვალუტის დეველვაციის ბენეფიციარი, მაშინ ვალუტის კურსის გაუფასურებისას აუცილებელი და ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია შემომყვანი ტურიზმის გაზრდა. ვალუტის გაუფასურება შემომყვანი ტურიზმისგან განსხვავებით, გამყვანი ტურისტული კომპანიებისთვის პრობლემას წარმოადგენს. ტურისტული შემოსავლები, რომელიც მომსახურების ექსპორტის ძირითად ნაწილს შეადგენს 2016 წელს დაფიქსირდა 1.94 მლრდ აშშ დოლარი, რაც 8.3%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ტურისტული შემოდინებების ზრდის ტემპის მატება გამოწვეული იყო ვიზიტორთა რაოდენობის შედარებით მაღალი ზრდით. რაც შეეხება ღარის ბოლოდროინდელ დეველვაციას, ის დაკავშირებულია არასწორ ფულად-საკრედიტო პოლიტიკასთან და ქვეყნიდან დიდი მასშტაბებით კაპიტალის გადინებასთან.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური უსაფრთხოება, ფინანსური უსაფრთხოება, ტურიზმი, ინფლაცია, შემოსავლები ტურიზმიდან.

ეკონომიკური უსაფრთხოება მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფო უსაფრთხოების მთლიან სისტემასთან. ფუნქციური თვალსაზრისით ეკონომიკური უსაფრთხოება არის სახელმწიფოს ეროვნული ეკონომიკის უნარი უზრუნველყოს საზოგადოებისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, სამხედრო-პოლიტიკური სტაბილურობა, მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის მდგრადობა შიდა და გარე საფრთხეების პირობებში, რესურსების ეფექტიანი გამოყენება და განაწილება, ასევე სახელმწიფოს ეროვნული პრიორიტეტების დაცვა და რეალიზება. სტრუქტურული თვალსაზრისით ეკონომიკური უსაფრთხოება არის იმ პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ეროვნული ეკონომიკის დამოუკიდებლობას, სტაბილურობას და მუდმივი განახლების უნარს.¹

ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემების გადაჭრა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა. იგი თავდაცვით, ფინანსურ ეკოლოგიურ, ინფორმაციულ, ფსიქოლოგიურ, სოციალურ, იდეოლოგიურ, კულტურულ, დემოგრაფიულ და სხვა სახის უსაფრთხოებებთან ერთად ჰქმნის ეროვნულ უსაფრთხოებას.

ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია არის ქვეყნის სტრატეგია მყარი და მუდმივად განვითარებადი ეკონომიკით. იგი ითვალისწინებს ქვეყნის ეკონომიკური მთლიანობისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობისა და პიროვნების ჰარმონიული განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნას. ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია რეალიზდება კრიტერიუმებისა და ინდიკატორების (მაჩვენებლების) სისტემაში. ხოლო ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმები გულისხმობს ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებას, რომელიც მოიცავს ეკონომიკური საფრთხის რაოდენობრივ

¹მნატროშვილიმგ.მეროვნულიუსაფრთხოებისმიზნები,მფაქტებიდამაჩვენებლები,მახალიშარი, №8(14).-მდეკემბერი.



განსაზღვრავს, მის რანჟირებას და მულტიპლიკატორული ეფექტის დადგენას.

ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმებია: ქვეყნის რესურსებით უზრუნველყოფა, ეკონომიკური საფრთხის ზღვრული სიდიდეების არ დაშვება, ეკონომიკის დამანგრეველი პროცესების თავიდან აცილება, დანაკარგებისა და რისკის მინიმიზაცია, ეკონომიკური და, აქედან გამომდინარე, სოციალური ეფექტიანობის ამაღლება, ცხოვრების დონისა და ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება, კონკურენტუნარიანი საქონლის (მომსახურების) წარმოების ზრდა და მსოფლიო ბაზარზე ადგილის დამკვიდრება და ა.შ.²

ეკონომიკური უსაფრთხოების პირველი ჯგუფის ინდიკატორები აერთიანებს ეკონომიკური ზრდის ისეთ მაჩვენებლებს, როგორიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), მთლიანი ერო-

ვნული პროდუქტი (მეპ), ქვეყნის ბუნებრივი რესურსული და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოტენციალის ინდიკატორები, ინფლაციის დონე, ბიუჯეტის დეფიციტი, სახელმწიფო ვალი.

ქვემოთ, ცხრილში მოცემულია ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითადი

ინდიკატორების მაჩვენებლები საქართველოსთვის:

ეკონომიკური უსაფრთხოების მთავარი შემადგენელი არის **ფინანსური უსაფრთხოება**, რადგან ფინანსებში ხდება ნებისმიერი ეკონომიკის ბაზირება. როგორც ამბობენ, ფინანსები არის სახელმწიფოს ეკონომიკური სისტემის სისხლი. მეცნიერები ასაბუთებენ სახელმწიფოს ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობას, რადგან იგი შეეხება როგორც სახელმწიფოს მთლიან უსაფრთხოებას, ასევე ეროვნული

ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორები %-ში

მაჩვენებელი	ზღვრული მნიშვნელობა	ფაქტობრივი მნიშვნელობა 2015წ.
მშპ-ს რეალური ზრდა	–	2,9
მრეწველობა, ენერგეტიკა, სამთო, დამუშავებითი, მშენ.	–	97
მოსახლეობის რაოდენობა საარსებო მინიმუმს ქვემოთ	10	10,1
უმუშევრობის დონე	7	12
ბიუჯეტის დეფიციტი	5	3,7
საგარეო ვალი მშპ-თან	25	33,7
ჭინის ინდექსი	–	42
დანახარჯ. მეცნ.-ბაზ. ე. მშპ-ში	2	0,2
სიცოცხლე. საშ. ხანგრძლ.-ბა	70	72,9

² მაღლაკელიძე თ. ეკონომიკური უსაფრთხოება. „სიახლე“. თბილისი 2002, 32.



ეკონომიკის ცალკეული დარგების უსაფრთხოებას. ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში შეიძლება გამოიწვიოს კატასტროფული შედეგები: წარმოების ვარდნა, საწარმოების გაკოტრება, სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სისტემების (ან მექანიზმების) ჩამოშლა და შემდეგ სუვერენიტეტის დაკარგვა.

სახელმწიფოს ფინანსურ უსაფრთხოებას განსაზღვრავს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: ა) ფინანსური დამოუკიდებლობის დონე (დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების, ეკონომიკური ჯგუფების, ცალკეული ხელისუფლების მიერ გამოყოფილი ფინანსური დახმარების რაოდენობას, ეროვნულ ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების მოცულობას); ბ) სახელმწიფოს მიერ გატარებული როგორც საშინაო, ისე საგარეო საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკის ხასიათი; გ) ქვეყანაში პოლიტიკური კლიმატი; დ) სახელმწიფოს ფინანსური უსაფრთხოებისათვის ფინანსური სფეროს ფუნქციონირების საკანონმდებლო დონის განმსაზღვრელი შიდა და გარე ასპექტები;

საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მიღწეული საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემის სტრუქტურული გარდაქმნის თვალსაზრისით, მაგრამ მიუხედავად ამისა სერიოზული პრობლემის წინაშე დგას ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელი ეს სფერო. (ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ეფექტიანობა დიდად არის დამოკიდებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სწორ წარმართვასთან, რომელშიც განმსაზღვრელი როლი ფულად-საკრედიტო ურთიერთობებს აკისრია.) დღეს საქართველოში არსებული ფულად-საკრედიტო სისტემა მიმართულია მხოლოდ ერთი მიზნისკენ - რაღაც უნდა დაუჯდეს შეინარჩუნოს ეროვნული ვალუტის სიმყარე, რაც მეტად ძვირი უჯდება ქვეყანას. ფულად-საკრედიტო სისტემის სხვა ობიექტურ მოთხოვნათა უზრუნველყოფით ინფლაციის შეჩერება და ლარის კურსის შენარჩუნება ამუხრუჭებს ეკონომიკის განვითარებას და აყალიბებს საფრთხეებს სოციალურ სფეროში.

ინფლაციის გამომწვევი მიზეზებიდან ჩვენ განვიხილავთ იმ მიზეზებს, რომლებიც დამახასიათებელია საქართველოს ეკონომიკისათვის, პირველ რიგში ეს არის: არასწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა; იმპორტირებული ინფლაცია; ინფლაციური მოლოდინი;

როცა ინფლაციის დონე ქვეყანაში მაღალია, ვიდრე მის სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში, პროდუქტების კონკურენტულობა ეცემა, რაც აფერხებს ეკონომიკის ზრდას. ინფლაციის მაჩვენებელზე შეიძლება გავლენას ახდენდეს, როგორც ეკონომიკის მიწოდების, ასევე, მოთხოვნის მხარე. ასევე, ინფლაცია შეიძლება პროვოცირებული იყოს საშინაო ან საგარეო ფაქტორების ზემოქმედებით. საქართველოში, ბოლო პერიოდში, ეროვნული ვალუტის გაუფასურების ფონზე გაზრდილია ინფლაციური მოლოდინები. ზოგადად, თუ ქვეყნის ექსპორტის მაჩვენებელი იმპორტზე მაღალია, იგი სუსტი ვალუტით კონკურენტუნარიანი ხდება საერთაშორისო ბაზარზე და დიდ მოგებას ნახულობს, მაგრამ საქართველოში იმპორტი ლამის 5-ჯერ ჭარბობს ექსპორტს და აქ ეროვნული ვალუტის შესუსტება ნიშნავს სამომხმარებლო ფასების აწევას. ფასები თუ არ აიწევს, მაშინ მთავრობას მოუწევს ამ განსხვავების დაფარვა და ასეთ პირობებში ეკონომიკური განვითარება შეუძლებელია.

ექსპერტების აზრით, შეცდომაა, როცა მთავრობამ აირჩია ნეოლიბერალური ეკონომიკური მოდელი სუსტი ეროვნული ვალუტის ფონზე, რაც ცხადად აჩვენებს, რომ არჩეულია სუსტი ლარის სტრატეგია. იგივე ექსპერტები აცხადებენ, რომ ნეოლიბერალურმა ეკონომიკურმა პლიტიკამ მიგვიყვანა მსოფლიო კრიზისამდე. იგი გულისხმობს ხელისუფლების მაქსიმალურ დისტანცირებას ეკონომიკური პროცესებისგან და ეკონომიკაში საბანკო სექტორის როლის გაზრდას, რაც ჩვენსაირი ქვეყნისთვის არასწორია.³

ტურისტული დარგის პრობლემებთან მიმართებაში „ეკონომიკური უსაფრთხოების“ ცნების თეორიული დასაბუთებისას მ. ბირჟაკოვი განიხილავს უსაფრთხოების სახეებს (ეკოლოგიური, ინფორმაციული) და მათ შორის ფინანსურ უსაფრთხოებას.

შემომყვან ტურიზმზე ლარის კურსი მხოლოდ დადებით გავლენას ახდენს - ამის შესახებ საუბრობენ ტურისტული კომპანიების მფლობელები. მაგალითისთვის, ჩაუცასუს თრაველ-ის დირექტორმა განაცხადა, რომ ტურიზმის სფერო ადგილობრივი ვალუტის დევალვაციის ერთ-ერთი ბენეფიციარია, რომელიც იღებს სარგებელს. თუ აღვნიშნავთ, რომ ტურიზმი არის საკუთარი ვალუტის დევალვაციის ბენეფიციარი, მაშინ ვალუტის კურსის გაუფასურებისას აუცილებელი და ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია შემომყვანი ტურიზმის გაზრდა. ვალუტის გაუფასურება შემომყვანი ტურიზმისგან განსხვავებით, გამყვანი ტურისტული კომპანიებისთვის პრობლემას წარმოადგენს.


საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2015 წელს წინა 2014 წე-

³ <http://www.kviripalitra.ge/economic.html?start=20>



საბაზონფლაცია

(პროცენტული ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით)



წყარო: http://geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo

ლთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 5.0% შეადგინა. 2016 წლის ნოემბერში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონე 0.6% ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (წლიური ინფლაციის დონე) 0.2 პროცენტი შეადგინა. 2010 წლის საშუალოსთან შედარებით სამომხმარებლო ფასების ინდექსი 17,8 პროცენტით გაიზარდა.⁴

2016 წლის ოქტომბერში საქართველოში ინფლაციის დონემ წინა თვესთან შედარებით 0,5%, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (წლიური ინფლაციის დონე) - 0,2% შეადგინა. 2010 წლის საშუალოსთან შედარებით სამომხმარებლო ფასების ინდექსი 17,1%-ით გაიზარდა.

2015 წელს მომდევნო 2016 წელთან შედარებით ტოპ ქვეყნების რეიტინგში სხვა სურათი იყო – აზერბაიჯანი, რომელიც ტოპ ქვეყნების სათავეშია, წინა წელს მეორე ადგილზე იყო, ხოლო პირველი ადგილი თურქეთს ეკავა, მეორე კვარტალში თურქეთიდან საქართველოში სულ 343 397 ვიზიტორი დაფიქსირდა. 2016 წელს ვიზიტორების რაოდენობის ზრდა ფიქსირდება სომხეთიდან, რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან 20%, 29%, 11%. რაც შეეხება ტურიზმიდან უცხოური ვალუტის შემოდინებას, ერთი ტურისტი ქვეყანაში საშუალოდ 225 \$ დატოვებს, რაც საერთო ჯამში, 2015 წლის მეორე კვარტლის მონაცემებით 302 მილ-

იონ 835 დოლარზე მეტია, ეს კი თავის მხრივ პირველ კვარტალში ქვეყანაში შემოსულ უცხოურ ვალუტაზე 20,19%-ით მეტია. უნდა აღვნიშნოთ, რომ 2015 წლის ზაფხულის სეზონისთვის ტურისტული კომპანიები ელოდებოდნენ ეროვნული ვალუტის დასტაბილურებას, მაგრამ სიტუაცია რადიკალურად განსხვავებული აღმოჩნდა. თუმცა ტურისტულმა სეზონმა იმუშავა და მოახერხა იმ საგარეო ნეგატიური ფაქტორების განეიტრალება, რომელიც ქვეყანაზე პირდაპირ და ირიბად მოქმედებდა. სავალუტო კრიზისი აღინიშნებოდა ასევე ყველა ჩვენს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში. ამ პერიოდს დაემთხვა საბერძნეთის კრიზისიც, 2014 წელთან შედარებით 2015 წელს საქართველოში 23%-ით შემცირდა ფულადი გადარიცხვების შემოდინება, ასევე აღსანიშნავია უკრაინისა და რუსეთის დღემდე ძალიან არასტაბილური მდგომარეობა. სწორედ მსგავსი ნეგატიური ფაქტორების განეიტრალება მოუწია ტურისტულ სეზონს.

2016 წელს დეფიციტის შემცირება განპირობებული იყო მომსახურების ბალანსის გაუმჯობესებით. მომსახურების პროფიციტის ფარდობამ მშპ-თან 10.4% შეადგინა, რამაც 2.6 პროცენტული პუნქტით მეტი შეადგინა წინა წლის მაჩვენებელთან. აბსოლუტურ გამოსახულებაში მომსახურების დადებითი საღდო 2015 წელს წინა წელთან შედარებით 158 მლნ აშშ დოლარით (12.2%-ით) გაუმჯობესდა და 1.46 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

⁴ <http://geostat.ge/>



საქართველოში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობის ზრდა
2016 წლის 10 თვის მონაცემებით

ქვეყანა	2016: 10 თვე. ზრდა	2016: 10 თვე. წილი ზრდაში(%)	მთლიან
აზერბაიჯანი	127,434	24 %	
ირანი	108,992	21 %	
რუსეთი	107,351	21 %	
ისრაელი	31,384	6 %	
უკრაინა	28,129	5 %	
ინდოეთი	19,419	4 %	
ყაზახეთი	11,382	2 %	
საუდის არაბეთი	10,797	2 %	
ბელარუსი	7,811	2 %	
სხვა	69,090	13 %	

წყარო: <http://geostat.ge/>

ზრდა უმეტესწილად გამოწვეული იყო ტურისტული შემოდინებების მაღალი ზრდით. ტურისტული შემოსავლები, რომელიც მომსახურების ექსპორტის ძირითად ნაწილს შეადგენს 2016 წელს დაფიქსირდა 1.94 მლრდ აშშ დოლარი, რაც 8.3%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ტურისტული შემოდინებების ზრდის ტემპის მატება გამოწვეული იყო ვიზიტორთა რაოდენობის შედარებით მაღალი ზრდით (7%), რაც ძირითადად განაპირობა სომხეთიდან (10.7%), რუსეთიდან (14%) და აზერბაიჯანიდან (8.6%) ვიზიტორების რაოდენობის ზრდამ. რამდენიმე წელია, რაც ვიზიტორთა რაოდენობის მზარდი ტენდენციაა ისრაელიდან, გერმანიიდან, ყაზახეთიდან, აშშ-დან, ბელორუსიდან და დიდი ბრიტანეთიდან. საპირისპიროდ ვიზიტორთა რაოდენობა ყველაზე მეტად შემცირდა თურქეთიდან (3.6%), ირანიდან (-47.3%) და ერაყიდან (-55%). აღსანიშნავია, რომ ვიზიტორების რაოდენობა წლის მეორე კვარტლიდან გაიზარდა, რაშიც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ლარის კურსის გაუფასურებამ.⁵

ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში ვლადიმერ პაპავა ინფლაციის ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორად თვლის ტურიზმს: „იმის გამო, რომ ჩვენი „სამომხმარებლო კალათის“ 80%-ს შეადგენს იმპორტირებული საკვები პროდუქტები, შესაბამისად შემოსული ტურისტების რაოდენობის ზრდა იწვევს იმპორტზე მოთხოვნილების გაზრდას. გარდა ამისა, ქვეყანაში შემოსული ტურისტი დოლარს ცვლის ადგილობრივ ვალუტაზე. ეს არ შედის ეროვნული ბანკის ინტერესებში, რადგან მას უწევს დიდი მოცულობის დოლარის შეძენა, რაც ხელს უწყობს ინფლაციას.“ იგივე მოსაზრებას იზიარებს ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში ლევან კალანდაძე და არ ეთანხმება ხელისუფლების წარმომადგენლებს იმაში, რომ ტურისტების შემოსვლა დადებით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე.⁶

ჩვენი მოსაზრებით, ლარის ბოლოდროინდელ დევალვაცია დაკავშირებულია არასწორ ფულად-საკრედიტო პოლიტიკასთან და ქვეყნიდან დიდი მასშტაბებით კაპიტალის გადინებასთან. არანაირ

⁵ <http://www.economy.ge/>

⁶ <http://fxstock.ru/108802-Kak-techenie-turizma-vliyaet-na-inflyaciyu-v-Gruzii.html> <http://www.blackseanews.net/read/10321>



ტურისტულ აქტივობას არ შეუძლია ღარის „შეკავება“ იმ პირობებში, როდესაც ერთი მხრივ ღართან მიმართებაში საზოგადოებაში დამკვი-

დრდა უარყოფითი მოლოდინები და მეორეს მხრივ ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებები გახლავთ ფაქტობრივად არაეფექტური.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. მაღლაკელიძე თ. ეკონომიკური უსაფრთხოება. „სიახლე“. თბილისი, 2002.
2. ნატროშვილი გ. ეროვნული უსაფრთხოების მიზნები, ფაქტები და მახვევნებლები. ახალი პაზარი, №8 (14), – დეკემბერი.
3. ოთინაშვილი რ. „ეკონომიკური უსაფრთხოება“ (ანალიზის ანტიკრიმინალური ასპექტები) თბილისი 2005.
4. ბირჟაკოვი მ. ტურიზმის ეკონომიკური უსაფრთხოება. თბ. 2014.
5. Биржаков М.Б. Введение в туризм. Издательский дом „Герда“, 2000.
6. <http://www.economy.ge/>
7. <http://geostat.ge/>
8. <http://www.kvirispalitra.ge/economic.html?start=20>
9. <http://fxstock.ru/108802-Kak-techenie-turizma-vliyaet-na-inflyaciyu-v-Gruzii.html>
10. <http://www.blackseanews.net/read/10321>

АКТУАЛЬНЫЕ ВОПРОСЫ ЭКОНОМИЧЕСКОЙ БЕЗОПАСНОСТИ ТУРИЗМА (ФИНАНСОВАЯ БЕЗОПАСНОСТЬ)

НИНО ЛЕТАНДЗЕ

Докторант ГТУ

E-mail: nanitam@mail.ru

Резюме

Экономическая безопасность - это такое состояние национальной экономики, при котором обеспечиваются защита национальных интересов, устойчивость к внутренним и внешним угрозам, способность к развитию и защищенность жизненно важных интересов людей, общества, государства. Экономическая безопасность является одной из составляющих национальной безопасности, которая охватывает также оборонную, экологическую безопасность и т. д.

Финансовая безопасность государства в значительной степени определяется характером формирования государственного и местных бюджетов, состоянием ее платежного баланса, степенью возврата денег, находящихся в обращении к банкам, движением валютных средств, денежно-кредитной политикой. Денежно-кредитная политика является составной частью единой государственной экономической политики.

Уровень инфляции в Грузии в октябре 2016 года в сравнении с предыдущим месяцем составил 0,5%, в сравнении с октябрём 2015 года индекс потребительских цен уменьшился в среднем на 0,2%, так как в нашей продовольственной корзине импорт составляет 80%, при увеличении числа туристов, возрастает спрос на продукты питания и соответственно, растёт спрос на импорт. Увеличение числа приезжих идет на пользу грузинской экономике, но по мнению экспертов по экономическим вопросам, способствует процессам инфляции. Мы считаем, что для предотвращения этих процессов, нужна правильная денежно-кредитная политика и эффективные решения национального банка.